ინფორმაცია

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის და „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2024-2027 წლებისათვის“ დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებზე საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ

№	**რეკომენდაცია**	**რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა**
1	კომიტეტის რეკომენდაციით შესაძლებელი იყო **ბიუჯეტში შემოსავლების, მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების სახით დამატებითი ფულადი სახსრების აკუმულირება.** მისასალმებელია, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულია და გამოინახა დამატებითი თანხები, თუმცა მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია კიდევ გარკვეული ოდენობის თანხების მობილიზება, მით უმეტეს რომ საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს კანონპროექტების განხილვა, რომელთა ამოქმედება ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის შესაძლებლობას იძლევა	**გათვალისწინებულია** საგადასახადო შემოსავლების განახლებული მაჩვენებლის და დივიდენდის ზრდის შედეგად ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები იზრდება 160,0 მლნ ლარზე მეტით.
2	გათვალისწინებულია კომიტეტის რეკომენდაცია **„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ ოდენობის გაზრდის თაობაზე. მიზანშეწონილია ფონდის ოდენობის კიდევ გაზრდა, რამდენადაც ფონდი იძლევა რეგიონებში სრულყოფილი ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალიტეტების გაძლიერების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს.** აღნიშნული ფონდისთვის დამატებითი რესურსების გამოყოფას ითხოვს პრაქტიკულად ყველა მაჟორიტარი პარლამენტის წევრი და პარლამენტის კომიტეტები	**გათვალისწინებულია** საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი გაზრდილია 130 მლნ ლარით და შეადგენს 580 მლნ ლარს.
3	საქართველოს სხვადასხვა რეგიონში **გაზიფიცირებისა და მოსახლეობისათვის გაზის მიწოდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე** კომიტეტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „საქართველოს მთავრობის	**გათვალისწინებულია** საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად დაგეგმილი გაზიფიცირების სამუშაოები დაფინანსდება გაზის

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	განკარგულებების შესაბამისად დაგეგმილი გაზიფიცირების სამუშაოები დაფინანსდება გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში აკუმულირებული სახსრებით“. მიზანშეწონილია ეს საკითხი აყვანილ იქნეს კონტროლზე და მობილიზებული იყოს სათანადო თანხები	ტრანსპორტირების კომპანიაში აკუმულირებული სახსრებით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 24 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, აღნიშნული კომპანია უზრუნველყოფს დამატებით 22 მილიონი ლარის მიმართვას გაზიფიცირების სამუშაოების დასაფინანსებლად.
4	მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტის რეკომენდაცია ვეტერანთა მატერიალურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით ნაწილობრივ გათვალისწინებულია. კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია **ვეტერანთა მატერიალურ-სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით მათი სოციალური გასაცემლის ოდენობის გაზრდა.** ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დაფინანსების თანხების კიდევ გაზრდა.	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დაფინანსება ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია დამატებით 500,0 ათასი ლარით და შეადგენს 19,0 მლნ ლარს. ამასთან, წინა წელთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 4,0 მლნ ლარით (26%-ზე მეტით).
5	საქართველოს მთავრობა ეთანხმება კომიტეტის რეკომენდაციას **სკოლებში ბავშვთა უფასო კვების საკითხის მოგვარებას**, რაც საჭიროებს კომპლექსურ მიდგომასა და მნიშვნელოვანი ოდენობის ფინანსურ რესურსებს. აუცილებლობად მიგვაჩნია ამ **მიმართულებით 2024 წელს გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ისე, რომ შესაბამისი პროგრამა ამოქმედდეს უკვე 2025 წლიდან**	**ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული** საჯარო სკოლებში ბავშვების კვებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა აღსანიშნავია რომ სრულყოფილი კვებით უზრუნველყოფისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა ამ ეტაპზე საჯარო სკოლებში არ არსებობს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი შინაარსის პროგრამის დაწყება ვერ განხორციელდება საპილოტედ, მხოლოდ იმ სკოლებში, სადაც შესაბამისი ინფრასტრუქტურა არსებობს.

№	რეკომენდაცია	**რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა**
		მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს მთავრობა ამ მიმართულებით მაქსიმალურად გააქტიურებს ძალისხმევას და 2024 წლის განმავლობაში გადადგამს ქმედით ნაბიჯებს მომდევნო წლებში საჯარო სკოლებში კვების უზრუნველყოფის მიზნით.
6	**ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებასთან** დაკავშირებით კომიტეტის რეკომენდაციას საქართველოს მთავრობა ეთანხმება. ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია და **საჭიროებს კომპლექსურ მიდგომასა და მომავალში მეტ დაფინანსებას**	კომპლექსური მიდგომების და შედეგზე ორიენტირებული პროგრამების ჩამოყალიბების მიზნით პრემიერ მინისტრთან შექმნილია სამთავრობო კომისია. კომისიისათვის შესაბამისი ინიციატივებისა და ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჩამოყალიბებულია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფები და ამ მიმართულებით აქტიურად გაგრძელდება მუშაობა 2024 წლის განმავლობაში.
7	წინა წლების ბიუჯეტის პროექტებზე დასკვნებში დაფიქსირდა, რომ მუნიციპალიტეტებზე დელეგირებული უფლებამოსილებების (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სამხედრო ვალდებულებები და სხვა) განსახორციელებლად გადაცემული მიზნობრივი ტრანსფერების ოდენობა წლების განმავლობაში არ არის საკმარისი და მუნიციპალიტეტებს საკუთარი ბიუჯეტებიდან უწევთ ხარჯების გაწევა. კარგია, რომ 2024 წლიდან კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სამხედრო ვალდებულებებთან დაკავშირებული უფლებამოსილებას განახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ასევე, **მიზანშეწონილია, რომ საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული დელეგირებული უფლებამოსილებებიც გადაეცეს ცენტრალურ ხელისუფლებას**	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** წინა წლებისგან განსხვავებით, 2023 წელს საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული მიზნობრივი ტრანსფერის გაანგარიშება განხორციელდა ახალი ფორმულით, შედეგად გასულ წელს გაიზარდა ტრანსფერის მოცულობაც (8,0 მლნ ლარიდან 13 მლნ ლარამდე). აღნიშნული ფორმულა ითვალისწინებს დასაქმებულთა საბაზო ხელფასის მატებასაც, შედეგად ტრანსფერის გაზრდილი მოცულობა გათვალისწინებულია 2024 წელსაც. ამასთან, საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერი გათვალისწინებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
		ფარგლებში ცალკე ქვეპროგრამის სახით, რისთვისაც გათვალისწინებულია 14,2 მლნ ლარი. რაც შეეხება ფუნქციის სრულად ცენტრალურ ხელისუფლებაზე გადაცემას, აღნიშნული საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებებს და მისი განხილვა უნდა განხორციელდეს დეცენტრალიზაციის სტრატეგიასთან ერთად, შესაბამისად ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის მომზადების პროცესში, დროის მცირე პერიოდის გათვალისწინებით, მსგავსი საკითხების განხილვა და შეჯერება არამიზანშეწონილია.
8	ბიუჯეტის პროექტზე კომიტეტის მიერ მომზადებულ დასკვნაში დაფიქსირებულია ბიუჯეტის **პროგრამული ფორმატის შემდგომში დახვეწისა და გაუმჯობესების საჭიროება.** საქართველოს მთავრობა, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით, რაც მისასალმებელია. ამ საკითხის მოსაწესრიგებლად მნიშვნელოვანია მაქსიმალური ყურადღება და შესაბამისი კონტროლი	**გათვალისწინებულია** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის ფარგლებში, ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების მიზნით. ევროკავშირის დაფინანსებით, მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში ექსპერტები ჩართულები არიან სამინისტროების პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესებაში. პარალელურად მიმდინარეობს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის განახლება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან მხარჯავ დაწესებულებებს ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (ebudget) მეშვეობით შესაძლებლობა აქვთ თავიანთი პროგრამები/ქვეპროგრამები დააკავშირონ პოლიტიკის კლასიფიკატორთან (მ.შ. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები - SDGs, გენდერული თანასწორობა, კლიმატის ცვლილება და სხვა) და შესაბამისი ინფორმაცია ასახონ პროგრამული ბიუჯეტის დანართში. ამ მიმართულებითაც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, მათ შორის ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ასევე, კლიმატის ცვლილების ნაწილში

№	რეკომენდაცია	**რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა**
		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხოლო გენდერული თანასწორობის საკითხებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს კოორდინაციით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბიუჯეტზე თანდართულ დანართი ყოველწლიურად უმჯობესდება. პოლიტიკის კლასიფიკატორებთან კავშირები ასახულია წარმოდგენილ პროგრამული ბიუჯეტის დანართში, მათ შორის ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების ფარგლებში გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში ასახულია კავშირები გენდერულ თანასწორობასთან.
9	კომიტეტს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე მომზადებულ დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და წინადადებები. განსაკუთრებით **საყურადღებოა სახელმწიფო ვალის, სახელმწიფო საწარმოებისა და კაპიტალური ხარჯების დინამიკის მიმართ გამოთქმული რეკომენდაციები.** აღნიშნულის გათვალისწინება დახვეწავს და კიდევ უფრო ეფექტიანსა და გამჭვირვალეს გახდის ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესებს. **კომიტეტი გამოთქვამს მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში ჩაერთოს სამუშაო პროცესში და შესაბამისი საკითხების მოგვარებაში**	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა და მიმდინარე წლის ბოლომდე განხორციელდება ვალის მართვის სტრატეგიის განახლება. რაც შეეხება ვალის მდგრადობის ანალიზის განხორციელებას სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს ამ საფინანსო ინსტიტუტების ექსპერტებთან ერთად. სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით მომდევნო წელს ფინანსთა სამინისტრო აქტიურად იმუშავებს საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებაზე, რაც დაარეგულირებს მათ მიერ სესხის აღების საკითხებს და მივესალმებით ამ პროცესში კომიტეტის ჩართულობას. ასევე, აქტიურად გაგრძელდება მუშაობა სახელმწიფო საწარმოებიდან მომდინარე ფისკალური რისკების ანალიზის დახვეწაზე.